

ოქმი # 1

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2024 წლის 15 იანვრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), თ. ბუჩუკური, მ. ელიაშვილი, ლ. ეფრემიძე, ა. კვინიხიძე, ი. კილურაძე, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, მ. ჯიბლაძე, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 17 წევრი).

დღის წესრიგი:

1. თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის განხილვა-შეფასება;
2. სამეცნიერო განყოფილებების ხელმძღვანელთა მიერ 2023 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშების მოსმენა;
3. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის 2023 წლის თვითშეფასების კითხვარების განხილვა-შეფასება;
4. ინსტიტუტის საბიბლიოთეკო კომისიის შექმნის შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს წარუდგინა ინსტიტუტის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში (ანგარიში განთავსებულია ინსტიტუტის ვებ-გვერდზე; <https://rmi.tsu.ge/geo/angarishi/angarishi2023.pdf>).

სამეცნიერო საბჭომ განიხილა ინსტიტუტის 2023 წლის სამეცნიერო ანგარიში.

და ა დ გ ი ნ ე ს : დადებითად შეფასდეს ინსტიტუტის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში და წარედგინოს იგი თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს შემდგომი რეაგირების მიზნით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს და და დ ე ბ ი თ ა დ შე ა ფ ა ს ე ს ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილებების ხელმძღვანელთა მიერ 2023 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიშები (აღნიშნული ანგარიშები ოქმს თან ერთვის).

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის 2023 წლის თვითშეფასების კითხვარებთან დაკავშირებით. მან დამსწრეებს მოახსენა, რომ წარმოდგენილია ინსტიტუტის 57 მეცნიერის თვითშეფასების კითხვარი.

სამეცნიერო საბჭომ განიხილა ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის 2023 წლის თვითშეფასების კითხვარები.

და ა დ გ ი ნ ე ს : ა) დადებითად შეფასდეს ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის 2023 წლის თვითშეფასების კითხვარები;

ბ) წარედგინოს ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის 2023 წლის თვითშეფასების კითხვარები თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თორნიკე ქადეიშვილის გამოსვლა ინსტიტუტის საბიბლიოთეკო ფონდთან დაკავშირებით, რომელიც დღემდე

განთავსებულია ყუთებში, დასაწყობებულია თსუ-ს ბიბლიოთეკის შენობაში და არ არის ხელმისაწვდომი ინსტიტუტის პერსონალისთვის.


და ა დ გ ი ნ ე ს : ა) შეიქმნას საბიბლიოთეკო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ნუგზარ შავლაყაძე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ოთარ ჯოხაძე;
3. მამუკა ჯიბლაძე;
4. როლანდ გაჩეჩილაძე;
5. ალექსი კირთაძე;
6. მაია კვინიკაძე (კომისიის მდივანი);
7. ლუიზა კოროშინაძე.

ბ) დაევალოს საბიბლიოთეკო კომისიას საბიბლიოთეკო ფონდის დათვალიერება-შერჩევა და შემდგომ შერჩეული ჟურნალებისა და წიგნების ინსტიტუტის შენობაში გადმოტანა.

საბჭოს თავმჯდომარე

სწავლული მდივანი



ნ. ელდიშვილი

ო. ჯოხაძე

**ალგებრის განყოფილების ხელმძღვანელის
ხვედრი ინსარძის მიერ 2023 წელს გაწეული საორგანიზაციო საქმიანობის
ანგარიში**

მომზადდა განყოფილების სამუშაო პროგრამა და განყოფილების თანამშრომელთა სამუშაოთა პროექტები.

განყოფილების ოთხი თანამშრომელი - ბ. მესაბლიშვილი, ე. ხმალაძე, ა. პაჭკორია და დ. ზანგურაშვილი - მონაწილეობდნენ საქართველოში და უცხოეთში გამართულ კონფერენციებში.

გამოქვეყნდა ექვსი სამეცნიერო ნაშრომი საერთაშორისო გამოცემებში, და ერთი სტატია მიღებული იქნა გამოსაქვეყნებლად ერთ-ერთ ასეთ გამოცემაში. ასევე, გამოქვეყნდა ერთი სტატია ადგილობრივ გამოცემაში.

განყოფილებაში ხორციელდება მუშაობა ოთხ სამეცნიერო პროექტზე. სამი მათგანი ფინანსდება შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ, ხოლო მესამე ხორციელდება ესპანელ კოლეგებთან ერთად და ფინანსდება ესპანეთის კვლევების სახელმწიფო სააგენტოს მიერ.

სტატია „Equivariant algebraic K-functors for Γ -rings“ ჩემი ავტორობით მიღებული იქნა დასაბუჯდად European Journal of Mathematics-ის მიერ.

პირადად ვხელმძღვანელობდი ორ საერთაშორისო მათემატიკურ ჟურნალს, Journal of Homotopy and Related Structures, რომელიც იბეჭდება Springer-ის მიერ და Advanced Studies: Euro-Tbilisi Mathematical Journal, რომელიც იბეჭდება Project Euclid Publishers (USA) მიერ. გარდა ამისა, ვიღებდი მონაწილეობას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში როგორც მისი წევრი.

წლის ბოლოს შედგა განყოფილების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოების ანგარიში, რომელიც წარედგინა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს და ინსტიტუტის დირექტორს.

ხვედრი ინსარძი
თსუ ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების ხელმძღვანელი

9 იანვარი, 2024 წელი

გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელის თორნიკე ქადეიშვილის ანგარიში

შემუშავდა განყოფილების სამუშაო გეგმა, განყოფილების თანამშრომელთა სამუშაოთა პროექტები, განყოფილების დაფინანსების პროექტი. ეს დოკუმენტები წარედგინა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს და ინსტიტუტის დირექტორს.

რეგულარულად ტარდებოდა განყოფილების სამეცნიერო სემინარი, სადაც მოხსენებებს აკეთებდნენ როგორც განყოფილების თანამშრომლები, ასევე მოწვეული მეცნიერები.

განყოფილების თანამშრომლები მონაწილეობდნენ საქართველოში და უცხოეთში გამართულ კონფერენციებში. გამოქვეყნდა 6 სამეცნიერო ნაშრომი როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო გამოცემებში.

განყოფილების სამი წევრი - მ. ბაკურაძე, ვ. ლომაძე და თ. ქადეიშვილი კითხულობდნენ ლექციებს თსუ მათემატიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის ალგებრისა და ტოპოლოგიის საკითხებში.

თ. ქადეიშვილმა და ა.ელაშვილმა მოიპოვეს რუსთაველის ფონდის STEM-22-604 გრანტი, მ. ბაკურაძემ გრანტი FR-21-4713.

წლის ბოლოს შედგა განყოფილების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოების ანგარიში, რომელიც წარედგინა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს და ინსტიტუტის დირექტორს.

01/01/2024

მათემატიკური ანალიზის განყოფილების ხელმძღვანელის ალექსანდრე მესხის მიერ 2023 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში:

1. კოორდინაცია გაეწია პროგრამული დაფინანსებით სამეცნიერო-კვლევითი (გარდამავალი) პროექტის მაღალხარისხოვნად და დროულად შესრულებას. ამ პროცესს ემსახურება განყოფილებასთან არსებული სემინარი (ბანახის არასტანდარტული ფუნქციური სივრცეები, ინტეგრალური ოპერატორები და გამოყენებები კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში). სემინარი ორგანიზებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის შესაბამის თანამშრომლებთან ერთობლივად. სემინარის ჩატარების დრო - პარასკევი, 18:00 საათი, ადგილი – სტუ-ს მათემატიკის დეპარტამენტი, ან შაბათი, 20:00 საათი, ონლაინ, ზუმის საშუალებით;
2. განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში განყოფილების ხელმძღვანელის მიერ სისტემატურად განიხილებოდა თანამშრომელთა მიერ სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების მაღალხარისხოვნად შესრულების მიმდინარეობა;
3. საანგარიშო წლის დასასრულს სამეცნიერო საბჭოსა და დირექტორს წარედგინა განყოფილების მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში;
4. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა უცხოურ სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობას, განყოფილების წევრების მიერ შესრულებული სამეცნიერო სტატიების ინტერნაციონალიზაციას;
5. განყოფილების ხელმძღვანელმა გაწია საერთაშორისო ჟურნალის „ა. რაზმადის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები“-ს მთავარი რედაქტორობა. 2021 წელს გამოიცა შრომების 177-ე ტომის პირველი, მეორე და მესამე ნომრები, სულ 515 გვერდის მოცულობით. აღნიშნული ტომის მე-2 და მე-3 ნომრები მიეძღვნა აკადემიკოს ვახტანგ კოკილაშვილის ხსოვნას (იხ. <https://rmi.tsu.ge/transactions/Volumes.htm>);
6. განყოფილების ხელმძღვანელი არის საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი;
7. განყოფილების ხელმძღვანელი იყო საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის XIII ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის (4-9 სექტემბერი, 2023, ბათუმი) საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარე (იხ. [სმკ-ის XIII კონფერენცია \(gtu.ge\)](http://gtu.ge));
8. ა. მესხი იყო ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში მინი-სიმპოზიუმის „Analysis and Related Topics“ ორგანიზატორი;
9. ა. მესხი ჩართული იყო პეკინის ნორმალურ უნივერსიტეტთან 5 წლიანი კონტრაქტის ფარგლებში არსებულ პროგრამაში "Discipline innovation and talent introduction program in Colleges and Universities (Program of the Ministry of Education of China)";
10. განყოფილების ხელმძღვანელი იყო თსუ-ს ესტატე ხმალადის სახელობის სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარე;
11. განყოფილების ხელმძღვანელი იყო საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის საკონკურსო კომისიის წევრი.
12. განყოფილების ხელმძღვანელი იყო დოქტორების ალი იმრანის, სადია ხალიდის და მუჰამად ზაიბის დასაწინაურებლად შეკრებილი კომისიის წევრი და შემფასებელი (მათემატიკის დეპარტამენტი, კომსატის უნივერსიტეტი, ისლამაბადი);

13. განყოფილების ხელმძღვანელი იყო შემდეგი წიგნის რეცენზენტი: ომარ ძაგნიძე, ფურიეს ერთგანზომილებიანი მწკრივები ერთი და ორი ცვლადის ფუნქციებისთვის, თსუ-ს გამომცემლობა, . 376 გვ.
14. განყოფილების ხელმძღვანელი იყო შემდეგი სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი: „Georgian Mathematical Journal“, „J. Function Spaces“, „J. Math. Ineq.“, „J. Ineq. Appl.“, „Commenatationes Mathematicae“, „Journal of the Prime Research in Mathematics“.
15. განყოფილების ხელმძღვანელი იყო შემდეგ სამეცნიერო ჟურნალებში წარდგენილი სამეცნიერო შრომების რეცენზენტი: „Mathematische Nachrichten“, „J. Fourier Analysis and Applications“, „Results in Mathematics“, „Mediterranean Journal of Mathematics“, „Georgian Mathematical Journal“, „Analysis Mathematica“, „Banach J. of Mathematical Analysis“, „Fract. Calc. Appl. Anal.“.
16. ა. მესხი იყო ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის შიდა და გარე მობილობის კომისიის წევრი.
17. ა. მესხის ხელმძღვანელობით, დოქტორანტმა გიორგი იმერლიშვილმა დაიცვა დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).

დიფერენციალური განტოლებების განყოფილების ხელმძღვანელის
ივანე კილურაძის მიერ 2023 წელს გაწეული საორგანიზაციო საქმიანობის
ანგარიში

ვხელმძღვანელობდი სამეცნიერო-კვლევით პროექტს „არალოკალური სასაზღვრო და საწყის-სა-საზღვრო ამოცანები ჩვეულებრივი და კერძოწარმოებულისანი დიფერენციალური განტოლებებისა და სისტემებისთვის“, რომელიც პროგრამული დაფინანსებით სრულდება განყოფილებაში (შესრულების ვადა – 2019-2023 წლები, შემსრულებლები – მ. აშორდია, გ. ბერიკელაშვილი, ი. კილურაძე, ნ. ფარცვანია, ს. ხარიბეგაშვილი, ო. ჯოხაძე).

ვხელმძღვანელობდი დიფერენციალურ განტოლებათა თვისებრივ თეორიაში საერთაშორისო ვორკშოპის – QUALITDE-2023 სამეცნიერო პროგრამის მომზადებას (ვორკშოპი ჩატარდა ანდრია რაჭმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში 2023 წლის 9-11 დეკემბერს).

როგორც მთავარი რედაქტორი, ვხელმძღვანელობდი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების *Georgian Mathematical Journal* და *Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics* სარედაქციო კოლეგიების მუშაობას.

მოვამზადე და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წარვუდგინე დიფერენციალური განტოლებების განყოფილების მიერ საანგარიშო წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში.

ი. კილურაძე

29 დეკემბერი, 2023 წელი

მათემატიკური ფიზიკის განყოფილება

განყოფილების გამგის როლანდ დუდუჩავას მიერ 2023 წელს შესრულებული სამუშაოს ანგარიში:

1. შემუშავდა განყოფილებაში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმა, რომელიც განიხილა განყოფილებაში და წარედგინა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად.
2. განყოფილების თანამშრომლებმა გამგის კოორდინაციით შეიმუშავეს სამუშაოთა აღწერილობების პროექტები, რომლებიც განხილულ იქნა განყოფილების სხდომაზე და წარედგინა ინსტიტუტის დირექტორს დასამტკიცებლად
3. 2020 წლის ნოემბრიდან ჩამოყალიბდა საერთაშორისო ონლაინ-სემინარი **Tbilisi Analysis & PDE Seminar** რ. დუდუჩავას, გ. ტეფნაძის (საქართველოს უნივერსიტეტი) და ე. შარგოროდსკის (კინგს კოლეჯი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) ხელმძღვანელობით. 2023 წელს გაგრძელდა სემინარის მუშაობა და ჩატარდა 16 სემინარი, რომლებზეც მოხსენებები წაიკითხეს თანამედროვე მათემატიკის გამოჩენილმა სპეციალისტებმა. სემინარი ტარდება 2 კვირაში ერთჯერ. ინფორმაცია ჩატარებული სემინარების შესახებ (მოხსენებათა ლოსტერები, მოხსენებათა ჩანაწერები) ხელმისაწვდომია სემინარის ვებ გვერდიზე:
<https://www.ug.edu.ge/ge/tbilisi-analysis-and-pde-seminar>
4. 2023 წლის 30 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე ჩატარდა სემინართან ასოცირებული საერთაშორისო ვორკშოპი **Tbilisi Analysis & PDE Workshop** რ. დუდუჩავას, გ. ტეფნაძის (საქართველოს უნივერსიტეტი) და ე. შარგოროდსკის (კინგს კოლეჯი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი) ხელმძღვანელობით. ვორკშოპში რომელშიც მიიღო მონაწილეობა 4 კონტინენტის 12 ქვეყნის 30-მდე მათემატიკოსმა. ვორკშოპის ვებ გვერდია <https://tapde-workshop.ug.edu.ge/#lgx-about>
5. 2020 წლის ოქტომბრიდან რ. დუდუჩავას ინიციატივით ჩამოყალიბდა ონლაინ სემინარი მოსწავლეებისათვის „მათემატიკის საოცარი სამყარო“ სადაც იკითხება პოპულარულ ლექციებ ი მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებისათვის 2 კვირაში ერთჯერ. სემინარებს ხელმძღვანელობს მმართველი საბჭო რომელიც შედგება 12 მათემატიკოსისაგან საქართველოს უნივერსიტეტისდან, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტიდან, თავისუფალი და წმიდა ანდრიას ქართული უნივერსიტეტებიდან, კინგს კოლეჯიდან (დიდი ბრიტანეთი) და კალიფორნიის უნივერსიტეტიდან (აშშ). მმართველი საბჭოს ხელმძღვანელია რ. დუდუჩავა. 2022 წელს წაკითხული იყო 16 მოხსენება და ჩატარდა პრეზენტაციების კონკურსი მოსწავლეებისათვის. 6 გამარჯვებული დაჯილდოვდა სიგელებით, ხოლო პირველ 4 გამარჯვებულს (მათ შორის 4 რეგიონებიდანაა) გადაეცათ ფასიანი საჩუქრები-ლექტორები და პლანშეტები. 2021 და 2022 წლებში სემინარმა მოიპოვა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტი მეცნიერების პოპულარიზაციის კატეგორიაში SPG-21-2194 და SPG-22-855.
6. შემუშავდა განყოფილების დაფინანსების პროექტის და წარედგინა ინსტიტუტის დირექტორს დასამტკიცებლად.
7. რ. დუდუჩავამ მოიპოვა ევროკავშირის გრანტი "ქართველ მეცნიერთა მობილობა" თემაზე "Pseudodifferential equations on Lie groups and applications" რომლის გარგლებში

იმყოფებოდა გენტის უნივერსიტეტში, ბელგია, მ. რუჟანსკისთან ერთად აწრმოებდა კვლევებს 18.04.2023-დან 16.07.2023 -მდე.

8. განყოფილების გამგე უწევდა მუდმივ კონტროლს და კოორდინაციას პროგრამული დაფინანსებით სამეცნიერო-კვლევითი (გარდამავალი) პროექტების მაღალხარისხოვნად და დროულად შესრულებას. ამ პროცესის წარსამართავად ეწყობოდა განყოფილების სემინარები (დრეკადობის თეორიაში და კერძოწარმოებუიანი დიფერენციალურ განტოლებების თეორიაში) და განხილვები. სემინარები ტარდებოდა საქართველოს უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთობლივად სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11 საათზე საქართველოს უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტში (მ. კოსტავას 77ა).
9. საანგარიშო წლის დასასრულს შემუშავდა განყოფილების მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში, რომელიც განხილულ იქნა განყოფილების სხდომაზე და შემდგომ წარედგინა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და დირექტორს.
10. განყოფილების თანამშრომლებს აქვთ მჭიდრო სამეცნიერო კავშირები საზღვარგარეთ კოლეგებთან. განყოფილების გამგე მონაწილეობდა 2 ადგილობრივ და 7 საერთაშორისო კონფერენციაში (მათ შორის 2 ჩატარდა საქართველოში) და წაიკთხა მოხსენებები (იხ. წლიური ანგარიში). მოხდა განყოფილების და ზოგადად ინსტიტუტის მიღწევების წარმოჩინება.
11. განყოფილების გამგე არის:
 - ა) რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი;
 - გ) ევროპის მათემატიკოსთა კავშირის სოლიდარობის კომიტეტის წევრი;
 - დ) სამი დიდი საერთაშორისო კონფერენციების სერიის მმართველი საბჭოს წევრი.

როლანდ დუდუჩავა

8 იანვარი, 2024 წელი

დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილების ხელმძღვანელის ანგარიში

1. შემუშავდა და სამეცნიერო საბჭოს წინაშე წარდგენილ იქნა დასამტკიცებლად განყოფილების სამოქმედო გეგმა პროგრამული დაფინანსებით შესასრულებელი გარდამავალი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებისათვის.
2. დირექტორისათვის დასამტკიცებლად წარდგენილ იქნა განყოფილების თანამშრომელთა სამუშაო გეგმის პროექტი.
3. განყოფილების წევრებს სისტემატიურად მიეწოდებოდათ ინფორმაციები საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტების გამოცხადების შესახებ, პროექტების მომზადებისა და მათი წარდგენის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.
4. მცისიერად განიხილებოდა სამეცნიერო სემინარზე განყოფილებაში სამეცნიერო-კვლევით მუშაობისას შექმნილი სირთულეები და ხდებოდა მათი გადაწყვეტა ერთობლივი ძალისხმევით.
5. შემუშავებულ იქნა და დირექტორს წარედგინა განყოფილების დაფინანსების პროექტი სამეცნიერო მივლინებების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა/განახლების და სხვა მიმდინარე საკითხების მხარდასაჭერად.
6. განხორციელებული იქნა ხელმძღვანელობა განყოფილების ძირითადი ამოცანების შესრულების, ყოველწლიური სამეცნიერო-კვლევითი ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის უზრუნველსაყოფად, ინსტიტუტის პრესტიჟის დაცვისა და სტრატეგიული მიზნების შესასრულებლისათვის.

ნუგზარ შავლაყაძე

9.01.2024

მ.ელიაშვილი
თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელის ანგარიში

1. თეორიული ფიზიკის განყოფილების სამეცნიერო თემატიკა მოიცავს თანამედროვე თეორიული ფიზიკის ამოცანების ფართე სპექტრს და ძირითად უკავშირდება კვანტური ველების თეორიის, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის, კონდენსირებული გარემოს ფიზიკის, გრავიტაციისა და კოსმოლოგიის აქტუალური საკითხების კვლევას. განყოფილებაში ჩატარებულ კვლევებს ახასიათებთ მაღალი მათემატიკური სტანდარტი, რაც გამოარჩევს ჩვენს განყოფილებას ანალოგიური პროფილის სხვა ერთეულებისაგან.

მე, როგორც განყოფილების ხელმძღვანელი ყურადღებით ვადევნებ თვალყურს განყოფილების წევრების სამეცნიერო საქმიანობას და ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ვუწყობ ხელს ტრადიციული სამეცნიერო მიმართულებების შენახუნებას და გაფართოებას ახალი თემატიკის შერჩევის გზით. ამის საფუძველზე განყოფილების წევრებთან კონსულტაციის საფუძველზე ვაწარმოებ სამუშაო გეგმების მომზადებასა და წარდგენას.

2. არსებული წესების თანახმად, განყოფილების წევრებთან ერთად ვამზადებ სამუშაოთა აღწერილობის პროექტს და სათანადო კორექტივების შემდეგ წარვადგენ დასამტკიცებლად.

3. განყოფილების წევრებს მოპოვებული აქვთ მრავალი სამეცნიერო გრანტი, როგორც ეროვნული ასევე უცხოური, გააჩნიათ მჭიდრო და ნაყოფიერი სამეცნიერო კონტაქტები წამყვან უცხოურ სამეცნიერო ცენტრებთან. განყოფილების წევრებთან ერთად ვაწარმოებ საგრანტო პროექტების მომზადებას.

4. მოთხოვნებისა და მიხედვით ვამზადებ განყოფილების დაფინანსების პროექტის შემუშავება და დირექტორისთვის წარდგენას.

5. ვარ პასუხისმგებელი განყოფილების ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

6. განყოფილების წევრებთან ერთად ყოველწლიურად ვამზადებ შესრულებული სამუშაოების ანგარიშს. დეტალურად ვეცნობი განყოფილების წევრების მიერ წარმოდგენილ მასალას და საერთო ხედვიდან გამომდინარე ვაერთიანებ ერთიან დოკუმენტში, რომელსაც წარუდგენ სამეცნიერო საბჭოსა და დირექტორს.

7. ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ხელს ვუწყობ ინსტიტუტის განვითარებასა და მიზნების განხორციელებას

ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილების ხელმძღვანელის მიხეილ მანიას 2023 წლის ანგარიში

შემუშავდა განყოფილების სამუშაო გეგმა, განყოფილების თანამშრომელთა სამუშაოთა პროექტები, განყოფილების დაფინანსების პროექტი. ეს დოკუმენტები წარედგინა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს და ინსტიტუტის დირექტორს.

რეგულარულად, ყოველ ოთხშაბათს, ტარდებოდა განყოფილების სამეცნიერო სემინარი, სადაც მოხსენებებს აკეთებდნენ როგორც განყოფილების თანამშრომლები, ასევე მოწვეული მეცნიერები.

განყოფილების თანამშრომლების მიერ 2023 წელს გამოქვეყნდა 11 სამეცნიერო ნაშრომი და 1 ნაშრომი მიღებულია გამოსაქვეყნებლად.

განყოფილების ორი წევრი - ო. ფურთუხია და თ. ტორონჯაძე კითხულობდნენ ლექციებს, შესაბამისად თსუ მათემატიკის სპეციალობის და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნეს ფაკულტეტის სტუდენტებისათვის ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხებზე.

განყოფილების წევრების აქტიური მონაწილეობით ამ წლის 15-16 ნოემბერს ჩატარდა კონფერენცია „შემთხვევითი პროცესებისა და მათემატიკური სტატისტიკის გამოყენებები ფინანსურ ეკონომიკასა და სოციალურ მეცნიერებებში VIII, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, თბილისი, GAU“, სადაც მოხსენებები წაიკითხეს თ. ტორონჯაძემ და მ. მანიაშ. ო. ფურთუხიამ მონაწილეობა მიიღო თსუ ანდრია რაჭმადის მათემატიკის ინსტიტუტის კონფერენციის მუშაობაში (14-17 თებერვალი, 2023), სადაც წაიკითხა მოხსენება თემაზე - მარტინგალური წარმოდგენის თეორემა არაგლუვ ბროუნის ფუნქციონალთა ერთი კლასისთვის.

წლის ბოლოს შედგა განყოფილების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოების ანგარიში, რომელიც წარედგინა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს და ინსტიტუტის დირექტორს.

მიხეილ მანია, 9/01/2024

მათემატიკური ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელის მამუკა ჯიბლაძის მიერ
2023 წელს გაწეული საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

მათემატიკური ლოგიკის განყოფილების მიერ 2023 წელს განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

პროგრამული დაფინანსების ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა პროექტზე „მოდალური და ინტუიციონისტური ლოგიკის სემანტიკური ასპექტები“. პროექტის სამუშაო გეგმის ფარგლებში განყოფილების თანამშრომლებმა დაასრულეს რამდენიმე პუბლიკაცია და აგრძელებენ კვლევას გეგმით გათვალისწინებულ თემებზე.

იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) წარმომადგენლებთან ერთობლივი საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელდა განყოფილების წევრების დ. გაბელაიას, ე. კუზნეცოვისა და მ. ჯიბლაძის სამუშაო ვიზიტი პიზაში, CNR საინფორმაციო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ინსტიტუტში (ISTI) და აღნიშნული ინსტიტუტის თანამშრომლების ვინჩენცო ჩანჩას, დიეგო ლატელას, მიკე მასინკის და ლაურა ბუსის ვიზიტი თსუ რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტში. მათემატიკური ლოგიკის განყოფილებაში ერთობლივი კვლევის მიზნით იმყოფებოდნენ მოსკოვის ეკონომიკის უმაღლესი სკოლის პროფესორი ვალენტინ შეხტმანი და ამავე სკოლის დოქტორანტი კონსტანტინ შიშოვი.

განყოფილების გამგე მ. ჯიბლაძე 2023 წლის ზაფხულში 3 თვით იყო მივლინებული ქ. ბონის მაქს პლანკის ინსტიტუტში (გერმანია) მიწვეული პროფესორის სტატუსით, სადაც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე სემინარის მუშაობაში და ნაყოფიერ ერთობლივ კვლევებში მონაწილეობდა დონ ზაგირთან, ჰერბერტ განგლთან, იოსებ ბერნშტეინთან, რუსლან მაქსიმოვთან, ოქსანა იაკიმოვასთან და დიმიტრი პანიუშევთან.

ხორციელდება ერთობლივი კვლევები ინსტიტუტის სხვა განყოფილებების წევრებთან. კერძოდ, გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილების თანამშრომელთან ა. ელაშვილთან ერთად გრძელდება ფართომასშტაბიანი კომპიუტერული გამოთვლები რედუქტიულ ლის ალგებრათა წარმოდგენების ნულ-კონუსების ჰესელინკის სტრატეგიკაციის გამოსაკვლევად. ა. ელაშვილთან და გ. ხიმშიაშვილთან ერთობლივი კვლევის შედეგად გამოთვლილ იქნა შებრუნებად განსაკუთრებულობათა გადაღუნვითი ალგებრები.

მიმდინარეობს განყოფილების წევრთა რეგულარული სასემინარო შეხვედრები თსუ დოქტორანტებთან და ბაკალავრეატის სტუდენტებთან.

მ. ჯიბლაძე
10.01.2024 წ.